ირაო

ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# ერთგული მეგობარი



Online.irao.ge

# რა სერვისებს მოიცავს დაზღვევა ?

ირაო
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## ირაო ასისტანსი

24 საათიანი სატელეფონო კონსულტაცია, დაზღვეულისთვის დაზღვევასთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაწოდებლად. **(032) 2 949 949**

## მედიკამენტები

დაზღვეულის ამბულატორიული მკურნალობისას, შესაბამისი სამედიცინო ჩვენების მიხედვით, ნებისმიერი ლიცენზირებული ვეტერინარის მიერ დანიშნული მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურება.

## ონკოლოგია

კეთილთვისებიანი, ასევე ავთვისებიანი ონკოლოგიური პრობლემატიკის გადაუდებელი და გეგმიური ქირურგიული მკურნალობის (მედიკამენტები, დიაგნოსტიკური ღონისძიებები, თერაპიული და ქირურგიული მკურნალობა), დიაგნოსტიკის, ქიმიო, რადიო და სხივური მკურნალობის, აგრეთვე, ამ პროცედურებთან დაკავშირებული გამოკვლევებისა და მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურება.

## ვაქცინაცია

კომპლექსური ვაქცინაციის ხარჯების დაფინანსება მითითებულ ვეტერინალურ კლინიკებში:

- ვეტექსი- მინდელის ქ.1
- აგრარული- დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ
- ვეტლაიფი- ფანჯიკიძის ქ.3
- ზოოპლაზა- მ.კოსტავას ქ.67

# ჰოსპიტალური მომსახურება

## ჰოსპიტალური მომსახურება უბედური შემთხვევის გამო

გარეშე ძალის (ფიზიკური, მექანიკური, თერმული, ქიმიური) ზემოქმედების შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული იმ ღონისძიებების ერთობლიობის დაფინანსება, რომლის დროში გადავადების პირობებში გარდაუვალია მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება.

## გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება

დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებიდან გამომდინარე იმ ღონისძიებების ერთობლიობის დაფინანსება, რომლის დროში გადავადების პირობებში გარდაუვალია მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება.

## გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურება

გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების ღირებულების დაფინანსება, რომელიც ანაზღაურებადია დაზღვევის ხელშეკრულების პირობებით/გამონაკლისებით და არ წარმოადგენს ონკოლოგიას.

# ამბულატორიული მომსახურება

## გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება

საჭირო სამედიცინო მომსახურების (სპეციალისტის კონსულტაცია, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევები, ამბულატორიული მანიპულაციები, მედიკამენტები) ღირებულების ანაზღაურება, რომელიც დაზღვეულს უნდა გაეწიოს შემთხვევის დადგომიდან პირველი 24 საათის განმავლობაში, ჩამოთვლილი შემთხვევების დროს: გარეშე ძალის (ფიზიკური, მექანიკური, თერმული, ქიმიური) ზემოქმედების შედეგად სხეულის დაზიანება; ინტოქსიკაცია; სისხლდენა.

## გეგმიური ამბულატორიული მომსახურება

ლიცენზირებულ ვეტერინარულ დაწესებულებაში, სამედიცინო მომსახურების ღირებულების ხარჯების ანაზღაურება სადაზღვევო პოლისში მითითებული ლიმიტის/თანაგადახდის ფარგლებში.

# პოლისის დაფარვები და ლიმიტები

ირაო
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

| დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფარვები | | დაფარვა | ლიმიტი (ლარი) |
|---|---|---|---|
| ირაო ასისტანსი | | 100% | ულიმიტო |
| ჰოსპიტალური მომსახურება | გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება უბედური შემთხვევის გამო (მოცდის პერიოდი 1 თვე) | 100% | 1 500 |
| | გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება (მოცდის პერიოდი 1 თვე) | 90% | 1 500 |
| | გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურება (მოცდის პერიოდი 12 თვე) | 80% | 1 000 |
| ონკოლოგია (მოცდის პერიოდი 12 თვე) | | 80% | 500 |
| გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება | | 90% | 500 |
| გეგმიური ამბულატორიული მომსახურება | | 80% | 500 |
| მედიკამენტები | | 80% | 500 |
| ვაქცინაცია (მოცდის პერიოდი 2 თვე) | | 100% | 40 |
| ყოველთვიური სადაზღვევო პრემია | | 30 ლარი | |

| სადაზღვევო პაკეტით გათვალისწინებული მომსახურებების ჩამონათვალი | ფასი (ლარი) |
|---|---|
| კონსულტაციის ფასი | 40 |
| სისხლის საერთო ანალიზი | 25 |
| შარდის საერთო ანალიზი | 25 |
| სისხლის ბიოქიმიური ანალიზი:  თირკმელების ფუნქცია | 45 |
| ღვიძლის ფუნქცია | 45 |
| გლუკოზა | 10 |
| კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქცია | 15 |
| გადასხმა | 40 |
| ოტოსკოპია | 15 |
| ნეფრიტის დიაგნოსტირების ჯამური ფასი | 100 |
| კანის დაავადების დიაგნოსტირება კანის ანაფხეკით | 30 |
| ექოსკოპია | 50 |
| ციფრული რენტგენი (ბარიუმის და ანესთეზიის გარეშე) | 50 |
| ლეიშმანიოზის დიაგნოსტირების ჯამური ხარჯი | 50 |
| ინფექციური ენტერიტების დიაგნოსტიკა (პარვო ვირუსი,კორონა ვირუსი,გარდია ლამბლიოზი) | 65 |
| ინფექციური ენტერიტის მკურნალობის ჯამური ფასი | 50 |
| პიროპლაზმოზის დიაგნოსტირების ჯამური  ფასი | 50 |
| პიროპლაზმოზის მკურნალობის ჯამური ფასი | 40 |
| დიროფილარიოზის,ანაპლაზმოზის,ერლიხიოზის,ლაიმის დაავადების დიაგნოსტირების ჯამური  ფასი | 65 |
| დიროფილარიოზის,ანაპლაზმოზის,ერლიხიოზის,ლაიმის დაავადების დაავადების  მკურნალობა (1- დღე) | 40 |
| ჭირის დიაგნოსტირების ჯამური  ფასი | 50 |
| დემოდეკოზის დიაგნოსტირების ჯამური  ფასი | 30 |



## ქირურგია

| | |
|---|---|
| ჭიპლარის თიაქარი | 150 |
| საზარდულის თიაქარი | 300 |
| თვალის ენუკლეაცია | 200 |
| რბილი ქსოვილების გაკერვა (კანი,კუნთი.) | 70 |
| აბსცესის ქირურგიული მკურნალობა | 150 |
| აბსცესის კონსერვატიული მკურნალობა (1 დღე) | 25 |
| პარაანალური სინუსიტის ქირურგიული მკურნალობა | 200 |
| პარაანალური ჯირკვლების გაწმენდა - 1 პროცედურა | 20 |
| შარდის ბუშტის კათეტერიზაცია-გამორეცხვა - 1 პროცედურა | 40 |
| შარდ-კენჭოვანი დაავადების ქირურგიული მკურნალობა | 250 |
| უცხო სხეულის ამოღება კუჭ-ნაწლავიდან | 300 |
| კუჭის გადახლართვა | 500 |
| ნაწლავის ინვაგინაცია | 300 |
| მოტეხილობის მკურნალობა ოსტეოსინთეზის გარეშე (თაბაშირი,ლანგეტი) | 100 |
| მოტეხილობის მკურნალობა ოსტეოსინთეზით (შტიფტი,პლასტინა და ა.შ) | 550 |
| სტაციონარი (1 საწოლ დღე) | 25 |
| პოსტ-ოპერაციული ჭრილობის დამუშავება | 25 |



* ანაზღაურება მოხდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასების და პოლისში მითითებული ლიმიტის/თანაგადახდის შესაბამისად. ამასთან, თუ ჩატარებული იქნება ისეთი მომსახურება, რომლის ფასიც არ არის მითითებული ხელშეკრულებაში, ანაზღაურება მოხდება იგივე/ანალოგიურ მომსახურებაზე საქართველოში ლიცენზირებული 3 ვეტერინარული დაწესებულების საშუალო ფასის მიხედვით.

# დამატებითი ბენეფიტები

20% ფასდაკლება მომსახურებაზე

20 ლარიანი ფასდაკლების ბარათი უფასოდ

20% ფასდაკლება პროდუქციაზე

ფასდაკლება პროდუქციაზე

10% ფასდაკლება ვეტერინარული ჰიგიენის პროდუქტზე

# რას არ ფარავს დაზღვევა?

ირაო
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

- ქრონიკული დაავადებების, გენეტიკური და თანდაყოლილი დაავადებების/ პათოლოგიების/ დეფექტების გამოკვლევისა და მკურნალობის ხარჯები;
- სტერილიზაცია, ფერტილიზაცია, აბორტი;
- ნებისმიერი შეჯიბრში, წვრთნაში, საჩვენებელ გამოსვლაში და სხვა მონაწილეობისას დამდგარ შემთხვევებთან დაკავშირებული ხარჯები;
- ნებისმიერი პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგიის, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული სამედიცინო მომსახურებების ხარჯები;
- არარეგისტრირებული მედიკამენტების, პარასამკურნალო საშუალებების, ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატების და ჰომეოპათიური საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ნებისმიერი სახის ცნობის და მის მიღებასთან დაკავშირებული გამოკვლევების ხარჯი;
- ალტერნატიული და ექსპერიმენტული მედიცინის, მანუალური თერაპიის, სამკურნალო ვარჯიშისა და სამკურნალო მასაჟის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციური და სანატორიულ-კურორტული მკურნალობის ხარჯები;
- იმუნიზაციის და ვაქცინაციის და ვაქცინის ხარჯები (გარდა პოლისით გათვალისწინებული ლიმიტისა);
- პროფილაქტიკური მიზნით და სამედიცინო ჩვენების გარეშე ჩატარებული მომსახურების ხარჯები;
- თერაპიული და ქირურგიული სტომატოლოგიური მომსახურების ხარჯები;
- ორსულობა/მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ვეტერინარის დანიშნულების გარეშე შეძენილი მედიკამენტის ხარჯები;
- ვეტერინარის დანიშნულების გარეშე ჩატარებული კვლევების ხარჯები.

# გადახდის პირობები

- სადაზღვევო პრემიის გადახდა ხდება: ყოველთვიურად, ორჯერადად, ოთხჯერადად  ან ერთჯერადად.
- ერთჯერადად გადახდის შემთხვევაში ჯამურ პრემიაზე ვრცელდება ფასდაკლება 5%-ის ოდენობით.
- სადაზღვევო პრემიის გრაფიკი/გადახდის თარიღები მითითებულია პოლისში.
- სადაზღვევო პრემიის პირველი გადახდა ხორციელდება წინასწარ ხელშეკრულების/პოლისის გაფორმებისთანავე, არაუგვიანეს სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე, ხოლო მომდევნო გადახდები ხორციელდება ყოველ მომდევნო თვეს პოლისში მითითებულ თარიღებში, შეთანხმებული გადახდის გრაფიკის შესაბამისად.
- დაზღვევის ხანგრძლივობა არის 1 წელი.



# როგორ მივიღოთ მომსახურება და ანაზღაურება?

ეწვიეთ ნებისმიერ ლიცენზირებულ ვეტერინარულ კლინიკას ან/და ლიცენზირებულ სააფთიაქო ქსელს და გადაიხადეთ მომსახურების საფასური სრულად.

*ვაქცინაციის ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ მითითებულ ვეტერინარულ კლინიკებში: „ვეტექსი“, „ვეტლაიფი“, „ზოოპლაზა“, „აგრარული“

ანაზღაურების მისაღებად ატვირთეთ სამედიცინო და ფინანსური დოკუმენტაცია ირაოს პორტალზე online.irao.ge „პირად სივრცეში“:

- ✓ დანიშნულების ფურცელი;
- ✓ ჩეკი

*დოკუმენტაციის გამოგზავნა უნდა მოხდეს სერვისის მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. ორიგინალი დოკუმენტაცია უნდა შეინახოთ 6 თვის განმავლობაში.

ანაზღაურებას ჩაგერიცხებათ 5 სამუშაო დღის განმავლობაში.